პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (11773)

ხუთშაბათი, 14 ივლისი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

უპატაკებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს

ჟიათურა, 13 ივლისი. დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გახსნის დღისათვის შეესრულებინა სასაქონლო მარგანეცის გამოშვების შვიდი თვის დავალება. ეს ვალდებულება მან პირნათლად შეასრულა. უბნებმა, რომლებსაც ჯ. ჯაფარიძე და დ. ფალავანდიშვილი ხელმძღვანელობენ, უკვე აგვისტოს თვეში ამოიღეს ათობით ტონა მარგანეცის მადანი. მაღაროს კოლექტივი ახლა ებრძოლა იმისათვის, რომ წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულოს.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1960 წლის 13 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვის შესახებ — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის მოხსენებანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დილის სხდომაზე მოისმინა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კ. მ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ს. სენინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. გაილეს მოხსენებანი.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. პ. ფ. ლომაკოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლ. ე. გრაფოვისა და ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბ. ფ. ბრატჩენკოს მოხსენებები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები — ცენტრალური კომიტეტის არა წევრები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ მრეწველობასა და ტრანსპორტს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებათა გამგეები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების და დიდი ქარხნების პარტკომების ზოგიერთი მდივანი; მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილენი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრები, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტების თავმჯდომარეები, საწარმოთა ზოგიერთი დირექტორი და მთავარი ინჟინერი, მეცნიერები, მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავეები და ნოვატორები, სახელმწიფო და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების უფროსები და მთავარი კონსტრუქტორები; სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელები და სამინისტროთა და ცენტრალურ უწყებათა სხვა ხელმძღვანელი მუშაკები; საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

13 ივლისს დილით კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმი განიხილავს საკითხს, როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვის შესახებ.

სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები, მეცნიერები, ინჟინრები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები.

შესანიშნავი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ფართოდ გაიშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა და ახალშენებათა ათასობით კოლექტივმა უპატაკა პლენუმის წინ ახალი საწარმოო მიღწევები. პლენუმის გახსნის დღეს გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები. ეს შედეგები მოწმობენ სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას, განუწყვეტელ ტექნიკურ პროგრესს ყველა მის დარგში, მასების შემოქმედებითი ინიციატივის მძლავრ ძალას, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებენ შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ წინასწარდასახულობებს.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მოხსენება განსახილველ საკითხზე პირველმა გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ კ. მ. გერასიმოვმა.

კ. მ. გერასიმოვის მოხსენება

სკკპ XXI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, თქვა მომხსენებელმა, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს გამარჯვებები შესაძლებელი გახდა გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით, პარტიის უდიდესი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მეოხებით.

იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით, ამბობს ამხ. გერასიმოვი, მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის — საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი რესპუბლიკის როლი. შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების მიხედვით საერთო-მრეწველო პროდუქციის საერთო გამოშვება რუსეთის ფედერაციაში უნდა გადიდდეს 80 პროცენტით. ამასთან ალუმინის წარმოება გადიდდება ერთთანად. ელექტროენერგიის გამომუშავება—ერთიანად და უფრო მეტად, ნავთობის ამოღება — 2,3-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება — ერთიორად, ქიმიური პროდუქტების წარმოება — 2,5-ჯერ. განზრახულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. გათვალისწინებულია მრეწველობის ზრდის დაჩქარებული ტემპები რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში.

ფართო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ დახმარებაზე დაყრდნობით რუსეთის ფედერაციის საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოთა კოლექტივებმა უზრუნველყვეს 1959 წლის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმის ვადამდე შესრულება. ვადამდე შესრულდა აგრეთვე მიმდინარე წლის პირველი ნახევრის პროგრამა.

რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია მძიმე ინდუსტრია — ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველის — უფრო სწრაფი ზრდა. შავი ლითონების ნაგლინის, ნიკელის, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამგზედლო-საწნეხ მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მინერალური სასუქებისა და სხვა უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა წარმოებაში წელს რუსეთის სფს რესპუბლიკაში მიღწეულ იქნება ისეთი დონე, რომელიც შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1961 წლისათვის.

როგორც შარშან, ისე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გადაჭარბებით შესრულდა შავი მეტალურგიის მეტ წილ სახეობათა პროდუქციის გამოშვების გეგმა. ვითვალისწინებთ რა, რომ სახალხო მეურნეობა ჯერ კიდევ განიცდის ლითონის ნაკლებობას, ამბობს ამხ. გერასიმოვი, კიდებთ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოთ შავი მეტალურგიის შემდგომი, უფრო სწრაფი ზრდა. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შვიდწლედის პირველი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ამუშავდა ახალი სიმძლავრეები — 5,9 მილიონი ტონა ფოლადის წარმოებისა და 4,2 მილიონი ტონა ნაგლინისა, რაც წინა 12 წელიწადში ამ სიმძლავრეთა ჯამებს გადაამეტებს.

ნოვატორ მეტალურგთა ამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოქმედ მეტალურგიულ საწარმოებში კიდევ არის დიდი რეზერვები ლითონის გამოშვების გადიდებისათვის. ამბ. გერასიმოვს ჰოჰყავს შემდეგი მაგალითი. ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის № 9 მარტენის ღუმელის ბრიგადამ, რომელსაც მეთაურობს სოციალისტური შრომის გმირი ა. დ. მოროგოვი, შარშან მარტენის ღუმელის ქვედის ყოველ კვადრატულ მეტრზე მიიღო 11 ტონა ფოლადი დღეღამეში, მაშინ როცა საშუალოდ ფედერაციის მეტალურგიულ ქარხნებში ფოლადის მიღება შეადგენს 7,5 ტონას. რესპუბლიკაში რომ ყველგან მოხერხდეს ღუმელის ქვედის კვადრატულ მეტრზე ფოლადის მიღების ნახევარი ტონით გადიდება, ამბობს მომხსენებელი, შეიძლება წელიწადში დამატებით მივიღოთ ორ მილიონ ტონაზე მეტი ლითონი.

ქმედითი ღონისძიებებია მიღებული შავ მეტალურგიაში სამადნე ბაზის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. მიმდინარე წლის დამლევამდე რკინის მადნის მოპოვება კუსკაის მაგნიტური ანომალიის საბადოებში აყვანილ იქნება 7,7 მილიონ ტონამდე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურომ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეისწავლეს არსებული შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს არა მარტო მოაახლოონ რკინის მადნის ახალ საწარმოთა ამუშავების ვადები, არამედ კიდევაც შექმნან ამ რაიონში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულის გარდა წელიწადში 7,9 მილიონი ტონა რკინის მადნის დამატებითი სიმძლავრეები.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება ფერადი ლითონების წარმოების შვიდწლედის დავალებანი. სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაჩაღდა მუშაობა კრასნოიარსკის მხარესა და ირკუტსკის ოლქში მძლავრი ალუმინის მრეწველობის შესაქმნელად. ფართო ფრონტით მიმდინარეობს ორენბურგის ოლქში გაის სპილენძის მადნის საბადოების ბაზაზე უდიდესი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. არის ხელსაყრელი პერსპექტივები ნიკელის წარმოების დამატებით გადიდებისათვის.

დიდი მასშტაბებით წარმოებს მუშაობა სინთეზური მასალებისა და ძირითადი ქიმიის პროდუქტების მძლავრი მრეწველობის შესაქმნელად. მაგრამ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბაშკირეთის, კემეროვოს, ალტაის, პერმისა და ლიპეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა ზრდაში.

ახორციელებს რა სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანას ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსის სტრუქტურის შეცვლის შესახებ, რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნავთობისა და გაზის წილი ამ ბალანსში. შარშან მოპოვებულია 3,3-ჯერ მეტი ნავთობი. ვიდრე მას იღებდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში 1940 წელს.

განვლილი წელიწადნახევარი აღინიშნა აგრეთვე ახალი წარმატებებით ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინური იდეის განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს ამხ. გერასიმოვი, „ჯერ კიდევ არის ერთგვარი ჩამორჩენა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდაში. ამ საქმეში სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრომ უნდა ძიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას.

მანქანათმშენებლობაში გამოვლინებულია ახალი რეზერვები პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და ტექნიკური ხელახალი შეიარაღების გზით, აგრეთვე უფრო რაციონალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურომ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად განახორციელეს სერიოზული ღონისძიებანი მანქანათმშენებლობის მთელი რიგი დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

რუსეთის ფედერაციაში ძძიმე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების საფუძველზე წელიწადნახევარში გეგმით გათვალისწინებულის გადამეტებით გამოშვებულია 15 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. 1961 წლიდან მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებაზე დამატებით ასიგნობათა გამოყენებით მნიშვნელოვნად გაიზრდება შვიდწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლისა და ბევრი სხვა საქონლის გამოშვება.

მომხსენებელი შემდეგ ეხება წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. იგი აღნიშნავს, რომ საწარმოებში და მშენებლობებზე მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მეცნიერების ფართო მონაწილეობით შემუშავდა ღონისძიებანი წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, ახალი, უფრო სრულყოფილი პროდუქციის ათვისებისათვის. კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა რაციონალიზატორთა და წარმოების ნოვატორთა მოძრაობა. ამასთან დადებითი როლი შეასრულა საწარმოებში ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი კომისიების შექმნამ, რომლებიც დაეხმარნენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის აღმავლობას.

გასულ წელს და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკაში განხორციელდა 8 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. მარტო მანქანათსამშენებლო ქარხნებში მოდერნიზებულია დახლოებით 70 ათასი ერთეული მოწყობილობა. შექმნილია 1.500 ახალი ნიმუშის ძარქანები, მექანიზმები და ხელსაწყოები.

ახალი ნაბიჯი გადაიდგა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის განვითარებაში. მაგალითად, შავ მეტალურგიაში მთელი გამოდნობილი თუჯის 96 პროცენტი უზრუნველყოფილია ბრძმედებში ავტომატიზებული თბური რეჟიმებით. რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო საწარმოებში წელს იქნება 90 მთლიანად კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული საამქრო და უბანი. მაშინ როცა 1958 წელს სულ 12 იყო. 1959-1960 წლებში მოქმედებას იწყებს 1.300 ნაკადური, კონვეიერული, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ახალი კონსტრუქციების მანქანებს — 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის უნიკალურ ორთქლის ტურბინას, რომელიც წელს გააკეთა ლენინგრადის ლითონის ქარხანამ, სამგლინიან დგანს „120“-ს, რომელიც გამოუშვა ელექტროსტალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ, და სხვ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ არის ჩამორჩენის ფაქტები მრეწველობის მთელი რიგი დარგების ტექნიკური აღჭურვის დონეში, უშვებენ მოძველებულ ნაკეთობებს. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად რესპუბლიკაში წელს შემუშავდება ღონისძიებანი ახალი ტექნიკის დანერგვისათვის იმ ვალიუდით, რომ ეს ღონისძიებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის შემადგენელი ნაწილი გახდეს.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებისათვის. მაგალითად, სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობის მანძილზე განხორციელდა სპეციალიზაციის ღონისძიებანი მანქანათმშენებლობის 900-ზე მეტ დიდ ქარხანაში.

წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შვიდწლიანი გეგმის დავალებანი. 1960 წელს 1958 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 15 პროცენტით, მაშინ როცა შვიდწლიანი გეგმის დავალება ითვალისწინებს 12 პროცენტს. როგორც შარშან, ისე წელს შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების თითქმის სამი მეოთხედი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასულ ნახევარ წელიწადში ვოლოგდის, ასტრახანის, ტულის, ჩიტის, ტიუმენისა და ალტაის სახალხო მეურნეობის საბჭოებში უზრუნველყოფილი არ არის შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებათა შესრულება ყველა საწარმოთა თითქმის ჭესამედში. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი ვერ შეასრულა კარელიის, ორიოლის, ბელგოროდისა და ტიუმენის სახალხო მეურნეობის საბჭოების ბეგრმა საწარმომ.

ამხ. გერასიმოვი შემდეგ ლაპარაკობს რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაზე. 1959 წელს ამშენდა დაახლოებით 700 დიდი სამრეწველო საწარმო. წელს კაპიტალდაბანდებანი რუსეთის სფსრ მრეწველობაში შეადგენს 74 მილიარდ მანეთს — 21 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშან. სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას. 1959-1960 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 76 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების გადიდების მიუხედავად, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში, განსაკუთრებით რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში, ჯერ კიდევ არის ჩამორჩენა. ასეთი მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, აღნიშნავს ამხ. გერასიმოვი, საჭიროა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დახმარება.

ამხ. გერასიმოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვა. იგი მოითხოვს აგრეთვე განხილულ იქნას საკითხი, რომ ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაცია საკავშირო ორგანოების გამგებლობიდან გადაეცეს რესპუბლიკისა და ცალკეული სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში.

დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციის ეკონომიური რაიონების მშრომელები აქტიურად ემზადებოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის ღირსეულად შეხვედრისაკენ. გამოავლინეს რა დამატებითი შესაძლებლობანი, მათ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი შვიდწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად. ამ გეგმის წარმატებით განხორციელებაში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და დამკვრელებს, რომლებიც თვალსაჩინო შიდგებს აღწევენ და გვიჩვენებენ იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა შრომა და ცხოვრება კომუნისტურად.

ი. ს. სენინის მოხსენება

უკრაინის სს რესპუბლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. ომისეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ამბობს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სენინი. შვიდწლედის პირველ წელს რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა კარგი ტემპი აიღეს. ჩვენ იმედი გვაქვს, ამბობს ორატორი, და ამას ადასტურებენ საწარმოთა კოლექტივების ვალდებულებანი, რომ საერთო პროდუქციის გამოშვება შვიდწლედის პირველ ორ წელს საკონტროლო ციფრებს გადააჭარბებს 14-15 მილიარდი მანეთით.

პარტიის მიერ აღებული გეზი, რომ საწარმოო სიმძლავრეები გადიდდეს პირველ რიგში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების გზით, ხორციელდება რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების ყველა დარგში და უდიდეს სახალხო-სამეურნეო ეფექტს იძლევა.

მაგრამ, აღნიშნავს ამხ. სენინი, რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი, და უწინარეს ყოვლისა, წარმოების ხარჯების შემცირებისათვის, რენტაბელობის გადიდებისა და ყველა სხვა ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის წარმოებულ მუშაობაში. ეკონომიური მუშაობის დონე ბევრ საწარმოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოში ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ლაპარაკობს რა მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ უკრაინის მეტალურგები იბრძვიან იმისათვის, რომ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი განხორციელდეს — უკვე 1963 წელს მიაღწიონ თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოებისა და რკინის მადნის ამოღების იმ დონეს. რომელიც დასახულია 1965 წლისათვის. წარმატებით მიმდინარეობს რკინის მადნის ბაზის ჩამორჩენის დაძლევა, გაუმჯობესდა მოქმედი მეტალურგიული აგრეგატების გამოყენება, გადიდდა ნაგლინის

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის დელეგაცია

12 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ პროფკავშირის თავმჯდომარე და ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარე ჯოზეფ კარენი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის პროფკავშირულ მოღვაწეებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე გ. ა. საენკო. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ბოლივიის საპარლამენტო დელეგაცია

12 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ბოლივიის საპარლამენტო დელეგაციის წევრები — სენატის თავმჯდომარის მოადგილე ოსკარ დონოსო ლოპესი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ეროვნული კონგრესის დეპუტატი ხაიმე არელიანო კასტანედი, სენატორები კარმელო კუელარ ხიმენესი, ომარ ჩავეს ორტისი, ხოსე უგუ ვილარი და დელეგაციის მდივანი ხოსე ხიმენესი ვეგი, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და საპარლამენტო დელეგაციის წევრებს შორის საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. პ. ბოიცოვი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ეკონომიური პროფილების წარმოება. ფერადი მეტალურგიის მუშაკები ქმნიან ახალ სიმძლავრეებს ფერადი და იშვიათი ლითონების საწარმოებლად. წარმოების ტემპებს სწრაფად ზრდიან უკრაინის ქიმიკოსები. წარმატებით ხორციელდება პარტიის შერ აღებული გეზი, რომ დაჩქარებით განვითარდეს ნავთობისა და გაზის ამოღება. დიდი ყურადღება ეთმობა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას, პირველ რიგში კოქსადი ქვანახშირის ამოღებას, ენერგეტიკის განვითარებას.

რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. იმისათვის, რომ ყველაზე ეფექტიანად გამოვიყენოთ კაპიტალური სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრები, მომხსენებლის აზრით, მიზანშეწონილია მდკავშირე რესპუბლიკათა განკარგულებაში დარჩეს რეზერვი კაპიტალდაბანდებათა სამ პროცენტამდე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. გარდა ამისა, საჭიროა ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკებს გადაანაწილონ მრეწველობის დარგებს შორის კაპიტალდაბანდებათა ხუთ პროცენტამდე, ისე რომ არ შემცირდეს დავალებანი საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების შესახებ.

შემდეგ ამხ. სენინი შეეხო რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის საკითხებს, როგორც შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების უმნიშვნელოვანეს პირობას. მომხსენებელი ლაპარაკობს დიდ მუშაობაზე, რომელიც სრულდება მეტალურგიულ ქარხნებში ბუნებრივი გაზის გამოსაყენებლად საბრძმედე და მარტენის წარმოებაში, ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიური ხერხისა და სხვა პროგრესული მეთოდების დასანერგავად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე შარშან უკრაინის მთელი რიგი მანქანათმშენებელი ქარხნები სამართლიანად გააკრიტიკეს მოძველებული კონსტრუქციებისა და მდარე ხარისხის მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებისათვის. მას შემდეგ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ, შენიშნავს მომხსენებელი, ჩვენ ეს მიგვაჩნია იმ დიდი მუშაობის მხოლოდ დასაწყისად, რომელიც ხორციელდება მანქანათმშენებელ ქარხნების პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელი ლაპარაკობს წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც შემუშავებულია და ხორციელდება შავი მეტალურგიის საწარმოებში, აგრეთვე დონბასის ქვანახშირის შახტებში. უკვე მიმდინარე წელს ქვანახშირის 21 შახტში ხორციელდება ყველა ტექნოლოგიური რგოლის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის ერთნახევარ-ორჯერ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო მექანიზაციისათვის გაწეული ხარჯები ორ-სამ წელიწადში ანაზღაურდება.

მანქანათმშენებლობასა და მრეწველობის სხვა დარგებში ფართოდ ინერგება ავტომატური და ნახევრადავტომატური ნაკადური ხაზები და კონვეიერები. უკვე მუშაობს მაღალი წარმადობის 10 როტორული ბანქანა და ხაზი, რესპუბლიკაში გაძლიერდა აგრეთვე მუშაობა მოძველებული მოწყობილობის შეცვლისა და მოდერნიზაციისათვის. 1959 წელს რესპუბლიკის მანქანათმშენებლო მრეწველობაში მოდერნიზებულია 8 ათასზე მეტი ჩარხი, რამაც საშუალოდ 20 პროცენტით გაადიდა მათი წარმადობა.

მიუხედავად ამისა, როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, უკრაინაში ახალი ტექნიკის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის მუშაობა ჯერჯერობით სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, განაგრძობს მომხსენებელი, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, საქარხნო ლაბორატორიების განმტკიცებას გამოცდილი კადრებით. უკანასკნელ წელიწადნახევარში ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვი მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში ერთნახევარჯერ გადიდდა. მთელი რიგი აქტუალური პრობლემები და დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, შეიმუშავეს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა სახალხო მეურნეობის საჭიროებათ ნ და საწარმოებთან თანამშრომლობით.

წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და ხელის შრომის გამოყენების მაქსიმალური შემცირების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვის ამოცანების გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებაში, ხაზს უსვამს ამხ. სენინი, დიდ სარგებლობას მოგვიტანს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება საწარმოთა ეკონომიური სტიმულირებისა და ახალი ტექნიკის შექმნითა და დანერგვით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ.

შემდეგ ამხ. სენინი შეეხო სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად უკრაინის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის საკითხებს. პარტიული ორგანიზაციები ბეჯით მუშაობას ეწევიან, რათა დარაზმონ მშრომელები წარმოების შინარეზერვების გამოსანახავად, ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად და შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად. არა მარტო ცალკეულმა საწარმოებმა, არამედ მრეწველობის მთელმა დარგებმა, ეკონომიურმა რაიონებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე მიაღწიონ შვიდწლედის დამლევისათვის დაწესებულ მიჯნებს. სულ უფრო ფართოდ ვითარდება კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მოძრაობა. ამ მოძრაობაში მონაწილეობს რესპუბლიკის 1 მილიონი 200 ათასზე მეტი კაცი.

მომხსენებელი ამბობს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რაც 3 წლის წინათ განხორციელდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით, ბრძნული, წინდახედული, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიება იყო, რომელმაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკის განვითარებაზე.

უკრაინელ ხალხს, ამბობს ამხ. სენინი, ნათლად აქვს შეგნებული, რომ მიღწეული წარმატებები მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი და რთული მუშაობისა, რომელიც უნდა შესრულდეს, რათა დაჩქარდეს ტექნიკური პროგრესი და ამით მოახლოვდეს ჩვენი გამარჯვება ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან. მაგრამ რაგინდ დიდი და რთული იყოს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები, ისინი გადაწყვეტილ იქნება. ამის თავდებია სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა და კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობა, გიგანტური პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა.

გ. ი. გაილეს მოხსენება

რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. გაილემ, დღეები, რომლებიც წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, დაემთხვა ძმადებას ლატვიელ მშრომელთა დღესასწაულისათვის — ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 20 წლისთავისათვის. ამ წლების მანძილზე ლატვიაში უდიდესი გარდაქმნები განხორციელდა. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჩამორჩენილი აგრარული დანამატიდან, ევროპის ყოვ ადგილიდან, ლატვია გადაიქცა დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1960 წლის დამდეგისათვის თითქმის ათჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობასა და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის სხვა დარგებში — 57-ჯერ. მარტო პროდუქციის მატება შვიდწლედის პირველ წელს აღემატებოდა ბურჟუაზიული ლატვიის 1939 წლის სამრეწველო წარმოების მთელ მოცულობას.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში ხორციელდება ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და თევზის მრეწველობის პირველ რიგში განვითარება. 1959 წელს სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულია ასეულ მილიონობით მანეთისაზე მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მიმდინარე წელს მრეწველობის ზრდის ტემპები გაძლიერდა. წლის პირველი ნახევრის გეგმა ვადამდე შესრულდა. შარშან და წელს შრომის ნაყოფიერების ზრდა თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება შვიდწლიანი გეგმით ამ წლებისათვის გათვალისწინებულ დავალებას.

სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში დიდ დახმარებას გვიწევენ პარტიული კონტროლის კომისიები, ტექნიკური საბჭოები და მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები. მარტო რიგის საწარმოებში შექმნილია პარტიული კონტროლის 500-ზე მეტი კომისია. მუდმივმოქმედი თათბირები მუშაობენ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტ წილ საწარმოებში. მარტო შარშან თათბირებმა მიიღეს 14 ათასზე მეტი წინადადება, რომელთაგან 10 ათასი დანერგილია.

ლატვიის მრეწველობის მუშაობის შედეგები შეიძლებოდა მნიშვნელოვნად უკეთესი ყოფილიყო, ამბობს მომხსენებელი, რომ დროზე და უფრო სრულად ვიყენებდეთ არსებულ რეზერვებს. მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ მოწყობილობასა და საწარმოო ფართობებს. დიდია დანაკარგი მოცდენისაგან. ყველა საწარმო როდი მუშაობს რიტმულად, არ არის დაცული ახალ სიმძლავრეთა ამუშავების ვადები. ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომის ხვედრითი წონა. ნელა ხორციელდება საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება.

მომხსენებელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მეცნიერების, ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის მიღწევების წარმოებაში დანერგვის საკითხებს. უკვე შვიდწლედის პირველ წელს მრეწველობამ გამოუშვა 400-ზე მეტი ახალი ნაკეთობა და მექანიზმი. წელს ათვისებულ იქნება კიდევ ასეულ ცოტა 500 ათასი ნაკეთობა. ქარხნებსა და ფაბრიკებში ფართოდება მოძრაობა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

რესპუბლიკა ზრდის სამგზავრო ელექტრომატარებლების გამოშვებას. ათვისებულია ერ-1 მარკის ელექტრომატარებლების სერიული წარმოება, რომლებიც საათში ავითარებენ 130 კილომეტრამდე სიჩქარეს, იქმნება ერ-10 მატარებელი ელექტროდამუხრუჭების ახალი სისტემით, რომელიც ელექტროენერგიის მოხმარებას 15 პროცენტით ამცირებს. პლენუმისათვის რიგელმა ვაგონმშენებლებმა გამოუშვეს 10 მოტორიანი ვაგონი ავტომემანქანით.

უკანასკნელ ორ წელიწადში სამჯერ გაიზარდა წევის ელექტროძრავების წარმოება, ძირითადად ხდება აგრეთვე სხვა უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დამუშავება. ელექტრონათურების ქარხნის მუშაკები ვარვარების ვაკუუმური ნათურების ხაცვლად უშვებენ ახალი კონსტრუქციის 200 ვატამდე სიმძლავრის გაზით სავსე ახალ ნათურებს. პლენუმისათვის ქარხანა მთლიანად გადავიდა ასეთი ნათურების წარმოებაზე. მათი ტექნიკური დახასიათება მიზშნელოვნად მეტია მოქმედ სახელმწიფო სტანდარტზე. გამოინახა ნათურების შიდა ზედაპირის სპეციალური შემადგენლობით დაფარვის პროგრესული ხერხი, რაც მათი შემცირებული სიმძლავრის პირობებში უფრო მეტ გაშუქებას იძლევა. მარტო რიგის ელექტრონათურების ქარხნის გადაყვანა ასეთი ნათურების გამოშვებაზე დაზოგავს მათი ექსპლოატაციის დროს 600 მილიონ კილოვატ-საათზე მეტ ელექტროენერგიას წელიწადში. რადიომრეწველობა და ელექტროტექნიკური მრეწველობა მიმდინარე წელს გამოუშვებენ ნახევარ მილიონზე მეტ რადიოლას, რადიომიმღებს, და ამდენსავე ტელეფონის აპარატს.

მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მანქანების შესაქმნელად. ჩრდილო-დასავლეთის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა შექმნეს 39 ახალი მანქანა, რომელთა უმრავლესობა რეკომენდებულია სერიული წარმოებისათვის. მიმდინარე წელს მანქანებს, რომლებიც შეიმუშავა სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ, აკეთებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში გაფანტული 22 ქარხანა. ახალ ტექნიკაში არის ეკონომიური ტიკვა ავტოსარწყულებელი, უნივერსალური გრეიფერული სატვირთელი, ნაკელმოსაბნევი, რომელიც ასრულებს 35 კაცის შრომას, საწვადი აპარატი, რომელიც ერთიორად ადიდებს წველის სიჩქარეს, მანქანები და მექანიზმები სათოხნი კულტურების დასამუშავებლად და სამუშაოთა მექანიზაციისათვის მეცხოველეობის ფერმებში.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასადიდებლად და მისი ასორტიმენტის გასაუმჯობესებლად. საქონლისა, რომლის გამოშვება შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში 32 პროცენტით გაიზრდება. მომხმარებლებმა და ცენტრალურმა პრესამ, ამბობს ამხ. გაილე, სამართლიანად გაგვაკრიტიკეს ავიჯის მრეწველობა ხელი ტემპით გარდაქმნისათვის. ითვალისწინებს რა ამ კრიტიკას, სახალხო მეურნეობის საბჭო მიმდინარე წელს თითქმის ერთიორად ადიდებს მცირეგაბარიტიანი ავიჯის გამოშვებას და ხელს აძლევს ავიჯის გამოშვებას და ხელს ალა ალალალ, ბრძოლა ბინაურ პროპორცია ძირითადი წარმოებისა და ეგრეთწოდებული დამხმარე, განსაკუთრებით საიარაღო საამქროების სიმძლავრეთა შორის. მეტად საჭიროა, ამბობს ამხ. გაილე, რომ სპეციალიზებულმა ქარხნებმა გაადიდონ ინსტრუმენტისა და სპეციალური ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვება საიარაღო საამქროებისათვის..

მრეწველობის მართვის ახალმა სტრუქტურამ შესაძლებელი გახადა აგვეძაღლებინა ორგანიზატორული მუშაობის დონე და გაგვუმჯობესებინა მისი ხარისხი მრეწველობის ყველა დარგში, წინანდელზე გაცილებით უკეთ გადაგვეჭრა საწარმოთა მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთანავე წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ მიზანშეწონილია გაფართოვდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფლებები ბევრი სამეურნეო საკითხის ოპერატიულად გადაჭრაში, რომლებიც წარმოიშობა ეკონომიურ რაიონებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა მოკავშირე რესპუბლიკებს, რადგან რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში შექმნილია სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები.

ლატვიის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, თქვა დასასრულ ამხ. გაილემ, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე, ხუთ წელიწადში, ხოლო მთელ რიგ დარგებში უფრო მოკლე ვადებშიც შეასრულონ შვიდწლედის დავალება, და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

დიდი შრომითი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხანაგ ა. კ. ძვარცხავას

ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. უ. ესართიას

საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანს ამხანაგ ნ. ა. ჭითანავას

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ შესანიშნავ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 105 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 113 პროცენტით შესრულებაში. ხარისხოვანი ჩაის ფოთლი მოკრეფილია 700 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ჩაის ფოთლის კრეფის კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ კახათის მარქსის სახელობის და სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაღიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა დაუცხრომელი შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების მტკიცედ დანერგვის შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ სრულ რწმენას, რომ თქვენ მიერ 1960 წელს ნაკისრი დიდი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის შესახებ, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების შესახებ წარმატებით შესრულდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანს ამხანაგ პ. პ. სახეჩიძეს

თერჯოლის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. გ. შუღლაძეს

საქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომის მდივანს ამხანაგ ა. ვ. ღიბრაძეს

თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 106,9 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 140 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 114,5 პროცენტით და კვერცხისა — 104,8 პროცენტით შესრულებაში.

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც თქვენ მოიპოვეთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, მოწინავე გამოცდილების, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების მტკიცედ დანერგვის შედეგია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ თქვენ მიერ 1960 წელს ნაკისრი დიდი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების შესახებ პირნათლად იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის მდივანს ამხანაგ ი. მ. ეცადაშვილს

ქარელის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ შ. ა. კოპაძეს

საქართველოს ალკკ ქარელის რაიკომის მდივანს ამხანაგ კ. ვ. სამნიაშვილს

ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 101 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 111 პროცენტით, კვერცხისა — 103 პროცენტით და მატყლისა — 113 პროცენტით შესრულებაში.

ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წელს იკისრეს დიდი სოციალისტური ვალდებულებანი — სახელმწიფოს მიჰყიდონ 7.750 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი, 1.225 ტონა ხორცი, 2.200 ტონა რძე, 1.240 ათასი ცალი კვერცხი, 45 ტონა მატყლი, აგრეთვე იკისრეს გააშენონ 1.200 ჰექტარი ხეხილის ბაღები, საკვებით უზრუნველყონ მეცხოველეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ქარელის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მშრომელები მოიპოვებენ ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კაპიტან ვ. ა. პოლიაკოვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო დავალების შესრულებისათვის — ამერიკის შეერთებული შტატების ის ძმაურავი თვითმფრინავის მოსპობისათვის, რომელიც 1960 წლის 1 ივლისს შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში, კაპიტანი ვასილ ანბროსის-ძე **პოლიაკოვი დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1960 წ. 12 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

ა. წ. 7-12 ივლისს ამხ. ო. ი. ივაშჩენკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომები. კომისიის სხდომებზე მოისმინეს და განიხილეს მოხსენებანი:

მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხი;

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონტროლის გაძლიერება სახელმწიფო პენსიების დანიშვნაზე;

საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის პრაქტიკის გაუმჯობესება მოკავშირე რესპუბლიკებში.

აღნიშნული საკითხების განხილვა მიმდინარეობდა როგორც კომისიის პლენარულ სხდომებზე, ისე შესაბამის ქვეკომისიებში.

ამ საკითხების განხილვის შედეგად ეკონომიურმა კომისიამ მოამზადა შესაბამისი წინადადებანი, რომელთა მიზანია კოლმეურნეობათა საფინანსო მეურნეობის შემდგომი განმტკიცება, სახელმწიფო პენსიების დანიშვნის საკითხთა გახილვის პრაქტიკის გაუმჯობესება და საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მოკავშირე რესპუბლიკებში.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლებმა, აგრეთვე ცალკეული რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

საბჭოთა ხალხის ხმა

ჩვენ მშვიდობიანი შრომის ადამიანები ვართ, მაგრამ თავს არავის დავაჩაგვრინებთ

გეშინ კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ყველა საამქროში მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების, იხგლისისა და ხორეგეიისადმი საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტის განხილვა.

— შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ახალი უხეში პროვოკაცია მოაწყეს, თქვა კამეოლის წარმოების უფროსმა მ. ბაბუნაშვილმა, — ამერიკის სამხედრო ბომბდამშენმა თვითმფრინავმა, რომელიც შედის სტრატეგიული დაზვერვის შენაერთში, დაარღვია ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოიჭრა. მხურვალე მადლობას ვუხდით საბჭოთა არმიის მეომრებს ვასილ პოლიაკოვსა და ანატოლი კოტლიაროვს, რომლებმაც უნარიანად უეხეველყვეს ჰაერის მეკობრე.

— ჩვენ მშვიდობიანი შრომის ადამიანები ვართ, მაგრამ თავს არავის დავაჩაგვრინეთ, — თქვა სამეღრო-გამომყვანი წარმოების ოსტატმა ა. ძოწენიძემ, — და შავ დღეს დავაყრით ყველას, ვინც გაბედავს შემოიჭრას ჩვენი საშობლოს ფარგლებში. საბჭოთა მეომრებმა მოსპეს ამერიკის „ლოკჰიდ უ-2“ ტიპისა და „რბ-47“ ტიპის თვითმფრინავები. ასეთივე ბედი ძოელის ამერიკის ყოველ სამხედრო თვითმფრინავს, რომელიც გაბედავს შემოფრინდეს ჩვენს ცაში.

— დაე ახსოვდეთ ამერიკელ და სხვა ავრესორებს, — განაცხადა კომბინატის ელექტრიკოსმა რ. აკობოვმა, — ჩვენი ქვეყანა მუდამ იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯი, მაგრამ პროვოკაციებს მხოლოდ გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხებთ. (საქდესი).



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ქალბატონი ა. ალექსიძე ამოწმებს მისი ბრიგადის წევრების ლ. კომინასა (ცენტრში) და ტ. როჟკოვას მიერ დამზადებულ პროდუქციას. ბრიგადა ახალი შრომითი წარმატებებით შეეგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 161.

III. ტრანსპორტი

ტვირთზიდვის გეგმის შესრულება ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის მიერ ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	შესრულებულია 1960 წლის პირველ ნახევარში	1960 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ტვირთბრუნვა — მილიარდობით ტონა-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	736	102	105
სამდინარო ტრანსპორტი	38	103	110
საერთო გამოყენების საავტომობილო ტრანსპორტი	11	103	123
ნავთობსადენი ტრანსპორტი	25	106	129
ტვირთზიდვა — მილიონობით ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	921	102	107
სამდინარო ტრანსპორტი	83	104	109
საერთო გამოყენების საავტომობილო ტრანსპორტი	714	106	125
გადატუმბულია ნავთობსადენი ტრანსპორტით	61	105	118

საზღვაო ტრანსპორტმა ტვირთბრუნვის გეგმა საკაბოტაჟო ნაოსნობაში შეასრულა 109 პროცენტით, საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმა — 106 პროცენტით. ყველა სახეობის ნაოსნობაში ტვირთბრუნვა გადიდდა 13 პროცენტით და ტვირთზიდვა — 2 პროცენტით.

საჰაერო ტრანსპორტმა მგზავრთა გადაყვანის გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა გადიდდა 38 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტზე გადიდდა ელმავლისა და თბომავლის წევაზე გადაყვანილი რკინიგზის ხაზებისა და ავტობლოკირებითა და დისპეტჩერული ცენტრალიზაციით მოწყობილი ხაზების სიგრძე. რკინიგზების ტვირთბრუნვა, ელმავლისა და თბომავლის წევით შესრულებული, 1960 წლის პირველ ნახევარში 1959 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 37 პროცენტით.

ელმავლისა და თბომავლის წევით შესრულებულმა ტვირთბრუნვის ხვედრითმა წონამ შეადგინა 4,5 პროცენტი რკინიგზების საერთო ტვირთბრუნვაში.

განვლილ ნახევარ წელიწადში რკინიგზის ტრანსპორტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა უმნიშვნელოვანესი ტვირთების — ქვანახშირის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მადნის, შავი ლითონების, ხე-ტყის ტვირთების, პურის გადაზიდვის გეგმა; შესრულებულია რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების — სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის შემცირების, მატარებლის წონისა და სატვირთო მატარებლის მოძრაობის საუბნო (კომერციული) სიჩქარის გადიდების დავალება, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

გაუმჯობესდა გეგმების გამოყენება საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე აგრეთვე საერთო სარგებლობის ავტომობილების გამოყენება. ამავე დროს რკინიგზის ტრანსპორტზე ცალკეულმა რკინიგზებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ტვირთების გადაზიდვისა და მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლების დადგენილი დავალებანი; ბევრ სამრეწველო საწარმოში დადგენილ ნორმებზე მეტ ხანს აცდენენ ვაგონებს დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებისათვის. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე ადგილი აქონდა გემების მნიშვნელოვან უნაყოფო დგომას, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტზე — ავტომობილების დგომას და ავტომობილების უტვირთოდ გარბენას.

IV. კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ წლის პირველ ნახევარში შეადგინა 113 მილიარდი მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 13 პროცენტით. კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 93 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 98 პროცენტით. ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შეუსრულებლობას ადგილი ჰქონდა იმ მშენებლობის ანგარიშზე, რომელიც სამეურნეო წესით ხორციელდება.

მოიჯარე ორგანიზაციებმა გეგმა შეასრულეს 100,4 პროცენტით და 15 პროცენტით გაადიდეს სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით.

კაპიტალური დაბანდებანი გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ქიმიურ მრეწველობაში გადიდდა 41 პროცენტით, მეტალურგიულ მრეწველობაში — 18 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 8 პროცენტით, ელექტროსადგურების მშენებლობაში — 5 პროცენტით, აქედან თბოელექტროსადგურების მშენებლობაში — 11 პროცენტით; მანქანათმშენებლობაში — 29 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში— 8 პროცენტით, სატყეო, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში — 10 პროცენტით, მსუბუქ და კვების მრეწველობაში — 21 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 20 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 11 პროცენტით.

იმ კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრებით. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წელთან შედარებით		
		საქართველოს სსრ	112
		აზერბაიჯანის სსრ	111
		ლიტვის სსრ	104
		მოლდავეთის სსრ	124
		ლატვიის სსრ	103
		ყირგიზეთის სსრ	113
		ტაჯიკეთის სსრ	126
		სომხეთის სსრ	112
		თურქმენეთის სსრ	136
		ესტონეთის სსრ	117
რუსეთის სფსრ	112		
უკრაინის სსრ	111		
ბელორუსიის სსრ	109		
უზბეკეთის სსრ	126		
ყაზახეთის სსრ	127		

მწყობრში ჩადგა საწარმოო სიმძლავრენი მრეწველობის ყველა დარგში, მაგრამ მთელი რიგი ობიექტების ამუშავების ნახევარი წლის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალება გადაჭარბებით შესრულდა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 1,4 პროცენტით.

ამავე დროს მშენებლობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მატერიალური და ფულადი სახსრები ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის კონცენტრირებული უმნიშვნელოვანეს და ასამუშავებელ ობიექტებზე და ადგილი აქვს კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვას ბევრ მშენებლობასა და ობიექტზე. ჯერ კიდევ მთელი სიმძლავრით არ არის გამოყენებული სამშენებლო მანქანები და მექანიზმები. საპროექტო ორგანიზაციებში ბევრი დაუმთავრებელი საპროექტო სამუშაოა, რაც იწვევს პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით მშენებლობათა არა თავის დროზე უზრუნველყოფას.

V. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გასული წლის პირველი ნახევრის დამლევთან შედარებით 3 მილიონ 900 ათასი კაცით გაიზარდა.

ამასთან მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშათა, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი გადიდდა ერთ მილიონ 350 ათასი კაცით. საბჭოთა მეურნეობასა და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი საბჭოთა მეურნეობებად გარდაიქმნა, გადიდდა ერთ მილიონ 700 ათასი კაცით. სკოლების, სასწავლებლების, სამკურნალო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკთა რაოდენობა გადიდდა 550 ათასი კაცით, ვაჭრობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — 300 ათასი კაცით.

გასულ ნახევარ წელიწადში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები და სკოლები დაამთავრა დაახლოებით 300 ათასმა ახალგაზრდა კვალიფიციურმა მუშამ, რომლებიც გაგზავნილი არიან სამუშაოზე. ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში საკურსო სწავლების გზით კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალი პროფესია შეიძინა 4,5 მილიონმა მუშამ და მოსამსახურემ.

მრეწველობასა და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა მრეწველობაში 6,4 პროცენტით, მაშინ როცა მთელ რიგ დარგებში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა. ამასთან შრომის ნაყოფიერება სახელმწიფო მრეწველობის ცალკეულ დარგებში გაიზარდა: შავ მეტალურგიაში — 6 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 8 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 6 პროცენტით, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში — 12 პროცენტით, ქიმიურ და რეზინის მრეწველობაში — 3 პროცენტით, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 8 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 6 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 4 პროცენტით. **მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება 9 პროცენტით გადიდდა.**

შრომის ნაყოფიერების ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით		
		საქართველოს სსრ	105
		აზერბაიჯანის სსრ	107
		ლიტვის სსრ	108
		მოლდავეთის სსრ	100
		ლატვიის სსრ	111
		ყირგიზეთის სსრ	106
		ტაჯიკეთის სსრ	109
		სომხეთის სსრ	107
		თურქმენეთის სსრ	105
		ესტონეთის სსრ	108
რსფსრ	106,4		
უკრაინის სსრ	105,2		
ბელორუსიის სსრ	109		
უზბეკეთის სსრ	111		
ყაზახეთის სსრ	108		

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

VI. ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

მიმდინარე წელს გრძელდებოდა იმ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომლებიც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ — შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ. **წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის სულ შემოკლებულ სამუშაო დღეს მუშაობდა დაახლოებით 20 მილიონი მუშა და მოსამსახურე.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის (1960 წლის მაისი) მიერ მიღებული კანონის შესაბამისად ყველა მუშა-მოსამსახურის გადაყვანა შემოკლებულ — შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე უნდა დამთავრდეს 1960 წელს. მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე ხორციელდება ხელფასის შეუმცირებლად, ხოლო იმ დარგებში, სადაც ამავე დროს ხორციელდება ღონისძიებანი ხელფასის მოსაწესრიგებლად, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი დიდდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მცირეხელფასიან მუშაკთათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო კანონი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადების გაუქმების შესახებ. ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ღონისძიების განხორციელება დაიწყება 1960 წლის 1 ოქტომბრიდან.

მოსახლეობა, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფოს ხარჯზე იღებდა დახმარებასა და სხვა თანხებს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევით, სოციალური უზრუნველყოფის პენსიებს, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, მოსწავლეთა სტიპენდიებს, უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასოდ და შეღავათიან ფასებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს, უფასო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა თანხებსა და შეღავათებს.

პირველი ნახევარი წლის განმავლობაში 29 მილიონზე მეტმა კაცმა გამოიყენა მორიგი შვებულება, რომელიც ყოველწლიურად ეძლევათ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის შენარჩუნებით.

მოსახლეობამ სულ მიიღო ყველა აღნიშნული თანხა და შეღავათი 122 მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით, ანუ 6 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1959 წლის პირველ ნახევარში.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ ნახევარ წელიწადში შეადგინა 364,4 მილიარდი მანეთი (სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის ჩაუთვლელად, რომლის ბრუნვამაც შეადგინა 3,7 მილიარდი მანეთი).

წლის პირველი ნახევრის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 2,6 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა, შესადარ ფასებში, 9 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც ვაჭრობას ახორციელებს სოფლად, გაიზარდა აგრეთვე 9 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1960 წლის პირველ ნახევარში პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა პროდუქტები	120
თევზი, ქაშაყი და სხვა თევზპროდუქტები	104
ერბო-კარაქი	108
მცენარეული ზეთი	101
რძე და რძის პროდუქტები	113
ყველი	108
კვერცხი	104
შაქარი	110
საკონდიტრო ნაწარმი	100
ჩაი	104
ბოსტნეული	104
ბამბის ქსოვილები	107
შალის ქსოვილები	112
აბრეშუმის ქსოვილები	91
სელის ქსოვილები	100
ტანსაცმელი და საცვლები	110
ტრიკოტაჟის ნაწარმი	111
წინდები	106
ტყავის ფეხსაცმელი	107
ავეჯი	120
საპონი	112
საკერავი მანქანები	110
სოჯახო მაცივრები	118
სარეცხი მანქანები	139
მტვერსასრუტები	127
საათები	104
მოტოციკლები და მოტოროლერები	125
ვიდეოფანდერები	116
რადიომიმღებები	115
ტელევიზორები	129
მსუბუქი ავტომობილები	121

1959 წელს და 1960 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა სახელმწიფო საცალო ფასების დაკლება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე წელიწადზე გადაანგარიშებით 11 მილიარდ მანეთზე მეტი საერთო თანხით. დაკლებულ იქნა აბრეშუმის ქსოვილების, გადამდნარი ცხოველური ცხიმის, ფოტოაპარატების, საათების, ველოსიპედების, საგალანტერიო საქონლის, მედიკამენტებისა და სხვა საქონლის საცალო ფასები.

მიუხედავად საქონელბრუნვის ზრდისა, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ზოგიერთ საქონელზე ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ კმაყოფილდება, კერძოდ მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოთხოვნილება ზოგიერთი სახეობის ქსოვილზე, ავეჯზე, სარეცხ მანქანებზე, მტვერსასრუტებზე, საოჯახო მაცივრებზე.

წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ ნახევარ წელიწადში შეადგინა დაახლოებით 20 მილიარდი მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა.

შემდგომი წარმატებებია მიღწეული სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის შესაბამისად გრძელდებოდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მუშა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და მოზრდილთა სკოლების 33,3 მილიონი მოსწავლიდან მიმდინარე წლის გაზაფხულზე საშუალო სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი ძიიღო ერთმა მილიონმა კაცმა. ფართოვდება სკოლა-ინტერნატების ქსელი. 1960 წლის დამდეგს იყო 1.348 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც სწავლობდა დაახლოებით 400 ათასი ბავშვი.

მიმდინარე წელს უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ 350 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები — 480 ათასზე მეტ კაცს.

გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. 1960 წლის დამდეგს ჩვენს ქვეყანაში იყო 3.548 სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის 1.608 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მათი ფილიალები და განყოფილებანი. ყველა მეცნიერ მუშაკის საერთო რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 310 ათასი კაცი, მათგან 104,5 ათასი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია.

ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიებმა ნახევარ წელიწადში გამოუშვეს 52 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმი. კინოდანადგარების რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 95 ათასი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 12 ათასით. კინოსეანსების მნახველთა რიცხვმა ნახევარ წელიწადში შეადგინა 1 მილიარდ 800 მილიონი კაცი.

სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობია დაახლოებით 17 მილიონი კვადრატული მეტრი, ანუ 21 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. გარდა ამისა, ბევრი საცხოვრებელი სახლი აშენდა არაცენტრალიზებული სახსრებით სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, აგრეთვე ააშენა მოსახლეობამ საკუთარი დანაზოგებითა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

კაპიტალური დაბანდებანი განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 20 პროცენტით და უფრო მეტად გაიზარდა. აშენდა 30 პროცენტით მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ვიდრე შარშან. მაგრამ სკოლებისა და კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა შესრულებული არ არის.

გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიაროო სახლების, მუდმივი საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. გაუმჯობესდა სამკურნალო, დაწესებულებათა აღჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით, მოწყობილობითა და ინსტრუმენტებით.

გრძელდებოდა მუშაობა ქალაქების, დაბებისა და სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის, მოქმედ კომუნალურ ნაგებობათა და საწარმოთა წყალსადენების, კანალიზაციის, აბანოების, სამრეცხაოების ქსელის გაფართოებისა და ახალთა აშენებისათვის, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მიმოსვლის გაფართოებისათვის, საცხოვრებელი სახლების თბოფიკაციისა და გაზიფიკაციისათვის. კომუნალური მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1960 წლის პირველ ნახევარში 20 პროცენტით გაიზარდა.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად მცირდებოდა სსრ კავშირის მოსახლეობის დაავადება და სიკვდილიანობა. **სსრ კავშირის მოსახლეობამ 1960 წლის 1 ივლისისათვის, წინასწარი მონაცემებით, შეადგინა 214 მილიონ 400 ათასი კაცი.**

* * *

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, რომ წარმატებით მიმდინარეობს შვიდწლიანი გეგმის შესრულება, შემდგომ აღმავლობას განიცდის ეკონომიკა, ვითარდება მეცნიერება და კულტურა, უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

შთამაგონებელი სიტყვა მასებს!

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტატორთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა, განვიხილეთ საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით, რომელიც ფართოდ გაიშალა რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თათბირმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის აგიტატორთა მრავალათასიან არმიას, რომელიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველდღიურად აუმჯობესებს თავის მუშაობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად საქართველოს მშრომელთა ბრძოლის საქმეში. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა განსაკუთრებით მრავალფეროვანი, კონკრეტული და ქმედითი გახდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ და „სტალინოს ოლქის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ. მისმა მჭიდრო კავშირმა ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შვიდწლედის პირველი წლისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

საქართველოს ეკონომიკის რაიონის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ღიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მანქანები, ჩარხები. ქსოვილები, ტანსაცმელი ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები და სხვა პროდუქცია. შვიდწლედის დაწყებიდან მწყობრში ჩადგა მრავალი ახალი საწარმო, აგებულია ასობით და ათასობით საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა.

ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაუცხრომლად იბრძვიან სასოფლო-საბიუჯეტო პროდუქტების წარმოების გასადიდებლად და სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებათა გადაჭარბებით შესასრულებლად.

თათბირმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ მიუხედავად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისა, ჩვენ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. წარმატება ბევრად მეტი იქნებოდა, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, მათი აგიტატორები ყოველდღიურად რომ აწარმოებდნენ ღრმა პოლიტიკურ მუშაობას მასებში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი საიუბილეო თარიღი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი. ჩვენ ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ დავაყენოთ მაღალ იდეურ დონეზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა იგი უფრო ქმედითი გახდეს და ნამდვილად ეხმარებოდეს რესპუბლიკის მშრომელებს სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში, მომავალ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში.

ამოცანა ის არის, რომ დავრაზმოთ მასების მთელი შემოქმედებითი ძალები, კიდევ უფრო განვავითაროთ მათი ინიციატივა და აქტივობა, დავნერგოთ ნოვატორთა გამოცდილება, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ წარმოების ახალი რეზერვები. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები: მშრომელთა კრებები, საუბრები, მოხსენებები, ლექციები, პრესა, თვალსაჩინოება, კინო, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და სხვ.

საააგიტაციო-მასობრივმა მუშაობამ უნდა მოიცვას წარმოების ყველა უბანი, მოსახლეობის ყველა ფენა. ამავე დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას დიფერენცირებულად მიდგომა ადამიანებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანების აღზრდას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა წარსულის გადმონაშთებთან ადამიანთა შეგნებაში, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებთან.

ამოცანა ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციები, აგიტატორები დროზე, მკაფიო და გასაგები ფორმით განუმარტავენ დღნენ მშრომელებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. აგიტატორთა საპატიო ვალია განუმარტონ მასებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი, რომელსაც მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა — მშვიდობიანი თანაარსებობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ომის გამჩაღებელთა ფანდების გადაჭრით მხილების პოლიტიკა.

პოლიტიკური აგიტაცია უფრო ქმედითი იქნება, თუ ჩვენ, აგიტატორები, ღრმად ჩავწვდებით წარმოების ეკონომიკას, კონკრეტულად შევისწავლით საქმის ნამდვილ მდგომარეობას თვითეულ საწარმოში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურში, საამქროებში, ბრიგადებში, ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ ჩამორჩენილი უბნები წამოვწიოთ მოწინავეთა დონემდე.

აგიტატორების საპატიო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ვალდებულებათა შესასრულებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, სისტემატურად აცნობდნენ მშრომელებს შეჯიბრების მიმდინარეობას, მის შედეგებს, ამჩნევდნენ და ავრცელებდნენ იმ ახალს, მოწინავეს, რაც ყოველდღიურად იბადება კომუნისტური შრომის გამარჯვებისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე.

მოწინავე გამოცდილების გავრცელების მიზნით საჭიროა ფართოდ ჩავბაბთ მუშაობაში წარმოების ნოვატორები, უფრო ხშირად ვაწყობდეთ პოპულარულ ლექციებს, ტექნიკური და აგროტექნიკური ფილმების ჩვენებას, ექსკურსიებს წარმოების მოწინავე უბნებზე.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, ბაღებსა და ვენახებში გაცხოველებული მუშაობა გაიშალა. მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება. ამ გაზურებული მუშაობის დღეებში აგიტატორებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრი უნდა გადავიტანოთ იქ, სადაც წყდება მოსავლის ბედი.

ჩვენ, რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, მოვუწოდებთ ყველა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელსა და აგიტატორს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ისე წაიყვანონ საქმე, რომ პოლიტიკური აგიტაცია ნამდვილად უწყობდეს ხელს მაღალი საწარმოო წარმატებების მოპოვებას, მასების კომუნისტურად აღზრდას.

ჩვენ აღფოთქვამთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ რესპუბლიკის აგიტატორთა მრავალრიცხოვანი არმია არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას, რათა ხელი შეუწყოს ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას მთლიანად და გადაჭარბებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

მიმართვა

რესპუბლიკის ყველა აგიტატორისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტატორთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა, განვიხილეთ საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით, რომელიც ფართოდ გაიშალა რესპუბლიკის მშრომელების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტ

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

მენდერესის ხროვის უკანასკნელი საათები

ანკარის უნივერსიტეტში პოლიტიკური ფაკულტეტის რომელ სტუდენტსაც უნდა ჰკითხოთ, „14 საათი“ რას ნიშნავსო, დაინახავთ, რომ თქვენს თანამოსაუბრეს სახე დაფიქრებული გაუხდება. ეს საათი ფაკულტეტის ისტორიასა და მთელი თურქეთის ისტორიაში შევა. 29 აპრილს ამ საათზე ფაკულტეტის სტუდენტები, ასისტენტები, პროფესორები და დოცენტები, რომლებიც წინაღმდეგობას უწევდნენ პოლიციას, მიხვდნენ, რომ ყველაფერი გათავებულია.

ახალგაზრდობამ, რომელსაც პოლიციელები სცემდნენ, უეცრად დაინახა, რომ პოლიციელებს ჯარები მიეშველნენ. ჯარისკაცებმა შამხანები გატენეს და გაკამზადნენ. 14 საათი იყო. საგანგებო წესების სარდალი, ამჟამად დაპატიმრებული ნამოკ ირგიური, პირდაპირ ახალგაზრდობისაკენ გაემართა. ხუთ მეტრზე რომ მიუახლოვდა, იგი გაჩერდა და სტუდენტებს უთხრა, რომ წინაღმდეგობა არ გაეწიათ და დაშლილიყვნენ. პასუხი საკმაოდ მოულოდნელი იყო. ახალგაზრდობამ მას შეჰყვირა: „გადადექი სამსახურიდან!“. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ თუ იგი საგანგებო წესების სარდლის პოსტიდან გადადგებოდა, ისინი დაიშლებოდნენ. არგიუნი დაჰპირდა, რომ შეასრულებდა მათს მოთხოვნას, მაგრამ მხოლოდ მეორე დღეს და თანაც, თუ ისინი დაიშლებოდნენ და მყუდროებას აღადგენდნენ. სტუდენტებმა მისი დაუყოვნებლივ გადადგომა მოითხოვეს. ორივე მხარის მოთმინება ამოიწურა.

ამ დროს პოლიტიკური ფაკულტეტის შენობაზე გამოაკრეს ოთხი ლოზუნგი. ისინი თითქოს წითელი მელნით იყო დაწერილი. ერთზე ეწერა: „მენდერესი გადადგეს“, მეორეზე იყო ეთი სიტყვა: „მკვლელებო“, მესამეზე კი ნათქვამი იყო: „ჩვენ ათათურქის მემდეგრენი ვართ“. ლოზუნგები, რომლებიც მოსწავლეებმა გამოაკრეს, დაჭრილთა სისხლით იყო დაწერილი.

არგიუჩმა თვითონ უბრძანა ჯარისკაცებს სროლა აეტეხათ. წამში ფაკულტეტს ძველი კედლები დაცხრილული აღმოჩნდა ავტომატის ჯერებით. სრულიად უმწეო სტუდენტები ცდილობდნენ მეორეს აეოფარებოდნენ, მაგრამ სროლა არ წყდებოდა. პოლიციამ ისარგებლა ჯარისკაცების სროლით. შავი შესასვლელიდან შეამტვრია კარი და შენობაში შეიჭრა, — ანლა მიგნით ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. მეორეს ამოფარებული უმწეო სტუდენტებს პოლიციამ ულმობელი სროლა აუტეხა. ერთ ქალთან ერთად, რომელმაც სცადა შენობიდან გაქცეულიყო, ფეხი გადაუტრუნდა და დაეცა. პოლიციის კომისარმა, რომელიც მას მისდევდა, პოლიციელებს მიუთითა მასზე და უბრძანა მოეკლათ. პასტოლეტის გასროლის ხმა და ქალიშვილის კვნესი ერთმანეთს შეუერთდა. ყველანაგ იგივე სურათი იყო: უიარაღო და უმწეო სტუდენტები თავს შველოდნენ გაქცევით, პოლიცია კი ხოცავდა მათ.

15 საათისა და 30 წუთისათვის ფაკულტეტმა თავისი თავდაპირველი სახე მიიღო, მხოლოდ ტყვიებით დაცხრილულ კედლებს კიდევ ანძდა სისხლის ნაკვალევი.

თურქულმა ჟურნალმა „აკისმა“ გამოაქვეყნა დიდი სარედაქციო სტატია, რომელიც მოგვითხრობს თურქეთში მოხდარ სახელმწიფო გადატრიალებაზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ სტატიას შემოკლებით.

იმ დღეებში, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი მდგომარეობის მოწესრიგებას ცდილობდა, ანკარაში უცნაური მოდა გავრცელდა. 20-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობამ უეცრად დაიწყო ლაზი ომარ-ფაშის დროინდელი ძველი მარშის სტვენა. ათათურქის ბულვარზე ისე არ გავლიდნენ, რომ ეს მარში არ ესტვინათ. გარდა ამისა, ამ დღეებში ანკარის ყველა მცხოვრებნი თითქოს ერთმანეთს დაუთათესავდნენ. ახალგაზრდები, რომლებიც ათათურქის ბულვარზე სეირნობდნენ და, შესაძლოა, თავიანთ სიცოცხლეში ერთმანეთი არ ენახათ, შეხვედრისას მეგობრულად მიესალმებოდნენ ერთმანეთს. და ეს რაღაც გარკვეული სიგნალი როდი იყო. სტუდენტებმა, კასტროს მიბაძვით, წვერის მოშვება დაიწყეს, და ახლა ბულვარი წვერიანი ხალხით აივსო. ამ ჰაბუკების ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ ისინი ძალიან თავაზიანად როდი უყურებდნენ პოლიციელებს.

ორი დღე გავდა ფაკულტეტზე მომხდარი ამბების შემდეგ. წვერიანი ჰაბუკები, ათათურქის ბულვარზე ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, უკვე არა მარტო თავაზიანად მიესალმებოდნენ ერთმანეთს, ისინი წუნარად წარმოთქვამდნენ მოკლე ფრაზას: „555 ყ“. პოლიციამ გამოარკვია, რომ ეს დაშიფრული პაროლი იყო, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ზუსტად რა, ეს პოლიციამ არ იცოდა. მდგომარეობა რომ გამოერკვიათ, ფეხზე დაიკენეს მთელი პოლიცია. ბოლოს პაროლი „555 ყ“ გამოიცნეს. იგი ნიშნავდა: მეხუთე თვის ხუთ რიცხვს, ხუთ საათზე ყაზილაის მოედანზე. 5 მაისს 17 საათზე ანკარაზრდობა შეეცადნა დემონსტრაცია გამართოს ყიზილაის მოედანზე.

5 მაისს 17 საათზე ათათურქის ბულვარი ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ფარი არასოდეს არ ყოფილა. როგორც ჩვეულებრივ, აქ წვერიანი ახალგაზრდები სეირნობდნენ. მართალია, ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღალი უსტვენდნენ ჩამეებულ მარშს. ამ დროს მენდერესი ზოგიერთ გენერლებთან ერთად ჩაის სვამდა არმიის სახლში. ბულვარზე ხალხი მატულობდა. სტვენა შეწყდა, და ახალგაზრდობამ ხმამაღლა დაიწყო მარშის სიმღერა. მელოდია იგივე იყო, მაგრამ სიტყვები სულ სხვა, ახალი ვითარების გათვალისწინებით ახალგაზრდობა ახლა მღეროდა:

სად ნახულა, რომ ძმა ძმას კლავდეს?
განა წყეული დიქტატორები ამ სამყაროს დაგიტოვებენ?

სიმღერამ რამდენიმე წუთში ყიზილაის მოედანზე თხუთმეტი ათასი კაცი შეკრება. ახლა ყველა მღეროდა ამ მარშს. პოლიცია და ჯარები დაუყოვნებლივ გამოცხადდ ნ ენ. პოლიციას სათავეში ედგა ნიაზი ბიჯიოღლუ. მან მოახერხა ხალხის გაფანტვა, მაგრამ ზუსტად ეს მეტრ მანძილზე ხალხის ახალი გროვა უკვე მღეროდა იმავე მარშს.

პოლიციელები გაიფანტნენ. მენდერესი სულ ორას მეტრ მანძილზე იყო. პოლიციელებმა ხელკეტებ ი აამოქმედეს. შეუდგნენ დემონსტრანტების შერეკვას სპბარგო ავტომობილებში. ბულვარი ოდნავ მიწყნარდა. დაპატიმრებულები წაიყვანეს. დემონსტრაცია გაფანტეულ იქნა, და პოლიციამ შვებით ამოისუნთქა.

და სწორედ ახლა მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მენდერესმა ათათურ ქ ი ს ბულვარზე ხალხი დაინახა და იფიქრა, რომ ყველაფერი უკვე მზად იყო იმ დემონსტრაციისათვის, რომლის მომზადებასაც თავისთვის მხარდასაჭერად იგი თვითონ ამზადებდა. იგი სწრაფად გამოვიდა არმიის სახლიდან, ჩაჯდა თავის განთქმულ „კადილაკში“ და ყიზილაის მოედნისაკენ გაემართა. ღიმილით იცქირებოდა აქეთ-იქით. არმიის სახლთან შეკრებილმა ორასამდე კაცმა მისასალმებელი ლოზუნგების შეძახილები დაიწყო. მენდერესის მანქანა წინ მიდიოდა. ამ დროს ყიზილაის მოედანზე ბაიარი გამოჩნდა. მენდერესის „კადილაკმა“ უხმოდ მდგომ ხალხს ჩაუარა. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან აქ ისინი როდი იყვნენ, ვინც მას სიმპათიით უყურებდა. უეცრად ამ ადამიანებმა დუმილი დაარღვიეს, მუშტები მოუქუშეს და მთელი ძალღონით დაიწყეს ყვირილი: „სამარცხვინოა!“. მენდერესმა მანქანა გააჩერა, გადმოხტა იქიდან და ხალხს მიუბრუნდა. მეორე მხრიდან მან გაიგონა კიდევ ერთი სიტყვა, რომელმაც საშინელად გააბრაზა, — „გადადექით“. გაცოფებულმა მენდერესმა მუშტი დაკარა ძარღანას, ისე, რომ ტკივილი კი არ უგრძნია, და სწრაფად მიბრუნდა. ზედ მის ცხვერწინ ქალიშვილი ხელს იქნევდა და გაიუწყვეტლივ გაიძახოდა: „სამარცხვინოა!“. ამ დროს ხალხი დაიძრა მენდერესასაკენ. პოლიციელი სასაღიოლო შესახდავი იყო: აბრეშუმის პერანგი შარვლიდან ამოეჩარა, ძვირფასი ჰალსტუკი გვერდზე მოეღრიცა. ამ მომენტში მენდერესმა იგრძნო, რომ ვიღაცამ მკლავში მოჰკიდა ხელი. ეს იყო ნიაზი ბიჯიოღლუ, რომელმაც სწრაფად შეაგო პოლიციელი მოედანზე მყოფ სხვა ავტომობილში, მენდერესი ხალხს გადაურჩა.

ყიზილაის მოედანზე მენდერესსა და ბაიარს კვლავ ესტვინეს. მენდერესი პირდაპირ შემლილად გადაიქცა: ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს.

გეგმა „555 ყ“ გაცილებით უკეთ განხორციელდა, კიდრე მოსალოდნელი იყო. 3 მაისს უჩვეულო ხალხ დადგა. ამიტომ საგანგებო წესების სარდალს ნამიკ არგიუჩს ეგონა, რომ წყნარი დღე იქნებოდა, თუმცა გავრცელებული ხმები მთლად კაიკი ვერ იყო.

შუადღე რომ მოახლოვდა, მეჯლისის თავჯდომარის კორესპონდენტის სახლთან ხუთ-ხუთი კაცი ადგან შემდგარ ჯგუფებად ყიზილაის მოედანზე ჩამოსვლა იწყეს საბჭოელების კურსანტებმა. ჯგუფებს შორის მანძილი დაახლოებით ხუთი მეტრი იყო. ყიზილაის მოედანზე კურსანტები ყველანი ერთად შეიკრიბნენ, შემდეგ კი ხელი და უხმაუროდ გაემართნენ ათათურქის ძეგლისაკენ, რომელიც არმიის სახლის პირდაპირ დგას.

არმიის სახლთან რომ მივიდა, ჯგუფში უკვე ოცი ადამიანი კაცი მაინც იქნებოდა. რამდენიმე ხანს შემდეგ დემონსტრანტთა რიცხვმა უკვე ორმოც — ორმოცდაათი ადამიანი კაცი მიაღწია.

ამავე დროს კურსანტებს შორის გამოჩნდა საგანგებო წესების სარდალი არგიუჩი, რომელმაც იგრძნო, რომ საჭირო იყო მისი ჩარევა. იგი სთხოვდა მათ დაშლილიყვნენ, მაგრამ მის სიტყვებს არავინაირი ყურადღება არ მიაქციეს.

ასე მიეცალნენ დემონსტრანტები ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შენობამდე. იქ ისინი „ორ ჯგუფად გაიყვნენ. კურსანტები ერთანთი სასწავლებლისაკენ გაემართნენ, დანარჩენები კი მოპირდაპირე მიმართულებით წავიდნენ. დემონსტრანტებმა მხოლოდ ახლა შეამჩნიეს საშინლად გაკვირებული კაცი, რომელიც მათ მიესალმებოდა. ეს იყო ეთემ მენდერესი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი. თავდაპირველად ამას არავითარი ყურადღება არ მიქცევია და მხოლოდ შემდეგ დემონსტრანტები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ მინისტრი მათ ალბათ იმ იმედით შეეერთდათ, რომ თავი გადაერჩინა.

განზრახული იყო, რომ გადატრიალებაში მცირე ძალები მიიღებდნენ მონაწილეობას. მთავარი ადგილი დათმობილი ქონდა სამხედრო სასწავლებელს. სამხედრო სასწავლებლის ახალგაზრდა კურსანტებმა ცხადყეკეს არა მარტო ერთგულება თავიანთი ხელისადმი, არამედ გამბედაობაც და თავგანწირვისათვის მზადყოფნა.

გადატრიალების შემდეგ გათვალისწინებული იყო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მოწყობა. ვინც ამ არჩევნებში გაიმარჯვებდა, ეროვნული ერთიანობის კომიტეტი მას გადასცემდა ქვეყნის მართვაგამგეობას. ყველაფერი ეს წინასწარ გაგიხლიეს და გადაწყვიტეს მოძრაობის ხელმძღვანელმა ოფიცრებმა. კომუნიკეში, ორმელიც რადიოთი უნდა წაეკითხათ მას შემდეგ, რაც მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილი კარიც კი იყო.

კარგად მოფიქრებულ გეგმაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა — მოძრაობის დაწყება, რაც დასახული იყო 28 მაისს, გადმოტანილ იქნა 27 მაისისათვის. ეს ამიტომ, რომ მთავრობამ დაიწყო მზადება თავისი გეგმის განსახორციელებლად, რომელიც მან არმიის მოსპობის მიზნით შეიუმშავა.

27 მაისის მოძრაობის განსახორციელებლად ანკარაში გარეიდან ძალიან მცირე ძალები იქნა ჩამოყვანილი. ერთი სატანკო ნაწილი ჩანკაიადე (თურქეთის პრეზიდენტის რეზიდენცია. **რედ. შენიშვნა**) უნდა ასულიყო და ბაიარი დაეპატიმრებინა. მეორე ბატალიონს ქალაქში უნდა დაეპატიმრებინა სხვა პასუხისმგებელი პირები და ხელი შეეწყო უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ყოველივე დაარჩენი სამხედრო სკოლების კურსანტებსა და ოფიცრებს უნდა გაეკეთებინათ.

მას შემდეგ, რაც სამხედრო სასწავლებლიდან გამოვიდა პირველი ნაწილი ინენიუს სახლის უშიშროების უზრუნველსაყოფად, მეორე ნაწილს დაეკალა დაპატიმრებინა მეჯლისის თავმჯდომარე რეფიკ კორალტანი, ამ ძორძორი კაცის, დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი შემქმნელის დაპატიმრება სრულებით არ გაიოლებულა. კორალტანი დაბნეული და უბადოდეკი იყო.

ბურხან-ფაშამ, იმ ნაწილის მეთაურმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ბაიარის დაპატიმრება, სწრაფად მიიმხრო პრეზიდენტის მცველები.

დაცვის პოლკი რომ მიიმხრო, ბურხან-ფაშამ გადაწყვიტა, რომ საკმარისი იქნებოდა, თუ ექვსი ტანკიან მხოლოდ ორი შევიდოდა საბანლის ბაღში. ჯელალ ბაიარი გაფრთრებული, შეშინებული ელოდა მათ. მან ჰკითხა ბურხან-ფაშას, რა გნებავთ ჩემგანო, ბურხან-ფაშამ უპასუხა ბაიარს, დაპატიმრებული ხართო. ბაიარი გაჯიუტდა. მან განაცხადა, ჩანკაიაში მოსული ვარ „ხალხის ნებით“ და ვერავითარი სხვა ძალა აქედან ვერ გამაძევებსო. თუ დაჟინებით მოითხოვთ, ბრძანებას გავცემ სროლა ატეხონო. ბურხან-ფაშამ უხეშად გაწყვეტინა სიტყვა. მაშინ ბაიარმა ჯიბიდან პისტოლეტი იძრო. რა ჰქონდა განზრახული? თავის მოკვლა? შესაძლოა, მოკის მდგომარეობაში იყო ან უნდოდა სროლა აეტეხა იმათთვის, ვინც მის დასაპატიმრებლად მივიდა. ეს გამოუკვეველი დარჩა. ბურხან-ფაშამ გვერდით მდგომ ლეიტენანტს უბრძანა იარაღი აეყარა იმ კაცისათვის, რომელიც მოედნებზე დემოკრატიის შესახებ გაპყვიროდა და რომელიც პირველ რიგში სპობდა დემოკრატიას, როგორც კი ჩანკაიას სასახლეში აღმოჩნდა. ბაიარი დაბებდა.

27 მაისს, როგორც კი ანკარაში რევოლუცია წარმატებით დაგვირგვინდა, ყოფილ პრემიერ-მინისტრი ესკიმეხიერიდან კუტახიაში წავიდა ფინანსთა მინისტრ პასან პოლატკანთან ერთად. რა იყო მისი მიზანი? რის გაკეთებას აპირებდა კუტახიაში? ეს გამოურკვეველი იყო. მაგრამ იმათ, ვინც რევოლუცია მოამზადა, ყველა შესაძლებლობა გაითვალისწინეს და ყველა ღონისძიება მიიღეს, და აი ესკიშეხიერიდან აფრენილმა რეაქციულმა თვითმფრინავებმა მენდერესის მანქანა აღმოაჩინეს კუტახიის გზაზე. მიცემულ იქნა მითითება დაეპატიმრებინათ მენდერესი. მლიქვნელმა მენდერესმა, რომელიც ერთი კვირის წინათ რადიოთი გამოსულიყო ქუბას ასხამდა სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრებს და აცხადებდა, ისინი პატივისცემითა და სიყვარულით შემხვდნენო, მანქანიდან გამოსულისას ჰკითხა: „რა გნებავთ ჩემგან?“ მას თავაზიანად განეკარტეს, რაც სურდათ მისგან. ანკარაში ხელისუფლების შეცვლა მოხდა. თვითონ მის დასაცავად პრემიერ-მინისტრს სამხედრო თვითმფრინავში ჩასვამენ და დედაქალაქში ჩაიყვანენ. იქ იგი ეკითხვენებს სამხედრო სასწავლებლის ოთახში, რომელიც სპეციალურად გამოყოფილია მისთვის. ყოფილი პრემიერ-მინისტრისათვის ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ წინაღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო.

იმ დღეს მენდერესმა შინ ბარათი მისწერა ცოლს. აცნობა, რომ დაპატიმრებულია სამხედრო სკოლის შენობაში და სუროვა პიჟამები გაეგზავნა...

იმ დროს, როცა ისინი, ვინც წლების განმავლობაში ხალხს აჯდა ზურგზე, სასჯელის მოხდას იწყებდნენ, იიტენის ქუჩაზე № 20 სახლს (სახლი, სადაც ინენიუ ცხოვრობს. — **რედ. შენიშვნა**), რომელიც მრავალი თვის განმავლობაში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, უამრავი მიმსვლელი მიაწყდა.

მაკრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ოპოზიციის ლიდერის მეუმაობას. ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, განხორციელდა. მან თქვა, თურქი ერი ასეთ მთავრობას არ მოითმენსო, და თურქმა ერმა მართლაც არ მოითმინა. მან თქვა, დემოკრატიული პარტიის მთავრობა თავისი ძალაუფლებით ხალხს რევოლუციის მეტ გამოსავალს არ უტოვებსო, და რევოლუციაც მოხდა, მან განაცხადა, რევოლუციას თვითონ არ მიეგულებო, და მას არ მოუწყვია რევოლუცია. მან გააფრთხილა მენდერესი და მისი მომხრენი, სავალალო ბედი გელათო, და მართლაც ასე მოხდა. მაგრამ 27 მაისს ინენიუ არ იკვეხნიდა, რომ შეუძლია ყოველ კარგ წინასწარმეტყველს უკეთ გაითვალისწინოს მომავალი. პირიქით, იგი მომავალზე ფიქრობდა. სინართლე რომ ითქვას, პირველ მომენტში იგი უკმაყოფილო იყო რევოლუციით, რომელიც სამხედრო პირებმა განახორციელეს. უეკვლია, მას რომ სცოდნოდა რაიმე ამ მოძრაობის შესახებ, შეეცდებოდა თავიდან აეცილებინა იგი. მაგრამ მოვლენათა განვითარებამ ძალიან მალე გამოიწვია ინენიუს ოპტიმიზმი. ისმეთ ინენიუს განწყობილება იმ გარემოებამაც შეცვალა, რომ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ისეთი სამხედრო პირი, როგორც ორა ჯელალ გიურსელი, რომელსაც ინენიუ ენდობა და რომლის პატიოსნებაზე გარანტიები გულწრფელად სჯერა. სინართლე რომ ითქვას, განა იგი გულში თვითონ არ აღიარებდა, რომ რევოლუციის მეტი სხვა გამოსავალი არ იყო? მაგრამ რამდენადაც იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ათათურქთან ერთად თითქმის საუთარი ხელით შექმნა სახელმწიფო, მას მიდრეკილება არ ჰქონდა რევოლუციის გზით შეეცვალა ხელისუფლება. რამდენადაც მას ვერასგზით ვერ გაეგო, როგორ შეიძლება, რომ მთავრობა კანონიერების ფარგლებს გასცდესო, იგი არ ეთანხმებოდა იმას, რომ რევოლუციის გზით აეღებინათ მთავრობა დასდგომოდა სწორ გზას, და ამავე დროს იგი ამართლებდა იმათ, ვინც ამ გზას დაადგა. მოკლედ რომ ვთქვათ, 27 მაისი ინენიუსათვის გონებასა და გრძნობებს შორის ბრძოლის დღე იყო. გონებამ სძლია, ამას მოითხოვდა ქვეყნის ინტერესებიც. და როცა რევოლუციის მეორე დღეს არმიის გენერალმა გიურსელმა დაურეკა ინენიუს, მან გულწრფელად უსურვა წარმატებანი და პირობა მისცა, რომ ყოველნაირად დაუჭერს მხარს ახალ მთავრობას.

ვერტმფრენით ზღვის სანაპიროზე

აბა წარმოიდგინეთ თავი ვერტმფრენში, ქვეკვი — მზეზე თვალისმომჭრელად მოლივლივე ზღვა, — შავი ზღვისპირეთის უხვ მწვანეში თეთრად მოკიაფე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შენობები, სანაპირო კეთილმოწყობილი პლაჟებით. ხომ ნამდვილად ლამაზი სანახავია! — ასე აღტაცებით გეტყვით ყველა, ვინც კი ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე ატარებს და ვერტმფრენით გასეირნებას გირჩევთ.

მიმდინარე საზაფხულო სეზონში დამსვენებელთა და ტურისტთა მომსახურებისათვის შავი ზღვის სანაპიროზე შემოღებულია ვერტმფრენ „მი-4“-ით მგზავრობა სოჭი-ბიჭვინთის მარშრუტით. ვერტმფრენი, რომელიც აღჭურვილია რბილი საჯარძლებითა და შიდა ვენტილაციით, დღეში რამდენიმე რეისს აკეთებს.

ვერტმფრენით მგზავრობა მეტად მოსახერხელია დროის ეკონომიისათვის და მნიშვნელოვნად განტვირთავს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ტრანსპორტს.

სურათზე: ვერტმფრენი „მი-4“ გაგრის სანაპიროსთან.

ასეთი სურათის ნახვა შეიძლებოდა ანკარისა და სტამბოლის ქუჩებში იმ დღეებში, როდესაც მენდერესის მთავრობა გრძნობდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, და ცდილობდა იარაღით შეენარჩუნებინა ძალაუფლება.

* * *

საერთაშორისო დღიური

„ლუმანიტე“ ამხილებს

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ როგორც სისტემატური პროვოკაციები სსრ კავშირის წინააღმდეგ, წერს ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე“ ამერიკის თვითმფრინავის ახალი ჯაშუშური ფრენის გამო საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. „არავის ექვი არ ეპარება, — აღნიშნავს გაზეთი, — და ეს დაადასტურეს ჩამოგდებული თვითმფრინავის ეკიპაჟის გადარჩენილმა წევრებმა, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი აწარმოებდა ჯაშუშურ-დაზვერვითს ფრენას სსრ კავშირის ტერიტორიაზე“. „ეს ახალი აგრესია გვიჩვენებს, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — თუ რა ფასი აქვს ეიზენჰაუერის პაროლში ნათქვამ დაპირებებს, როცა მან თვალთმაქცურად განაცხადა, რომ ჯაშუშური ფრენა სსრ კავშირში აღარ იწარმოებს. სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვარო“. ცნობამ ამერიკული თვითმფრინავ-მზვერავის ახალი ჯაშუშური ფრენის შესახებ, აღნიშნავს მეორე ფრანგული გაზეთი „ქომბა“, „გადაცემულმა იმ დროს, როცა გაჩაღებულია ამერიკის საარჩევნო კამპანია, დაბნეულობა გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში“.

(საკდესი).

ნიუ-იორკის პრესა ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციის შესახებ

ნიუ-იორკი. 12 ივლისი. (საკდესი). იმის გამო, რომ მოვიდა პირველი ცნობები ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციის შესახებ, ამერიკის პრესაში უკანა პლანზე მიიჩქმალა სხვა ამბების, მათ შორის დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობა ლოს-ანჯელესში. საღამოს ყველა გაზეთმა ამ მოვლენას მთავარი ყურადღება დაუთმო. „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა“ თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ვრცელი ანგარიში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლის შესახებ დაბეჭდა უზარმაზარი სათაურით — „ხრუშჩოვი ამბობს: ორმა პილოტმა აღიარა, რომ ასრულებდნენ ჯაშუშურ დავალებას“, რომელიც მთელ გვერდზეა დაბეჭდილი. გაზეთმა გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადების მთელი ტექსტი. „ნიუ-იორკ პოსტი“ დღეს გამოვიდა უზარმაზარი სათაურით „ხრუშჩოვი თავს დაატყდა ამერიკის შეერთებულ შტატებს თვითმფრინავის გამო“, რომელსაც მთელი პირველი გვერდი უკავია. მოკლე ცნობებს ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენციის შესახებ განუწყვეტლივ გადასცემენ ამერიკის რადიოთი და ტელევიზიით.

სიმართლეს ვერ დამალავ

ლონდონი. 12 ივლისი. (საკდესი). ლონდონის საღამოს „გაზეთების გვიანი გამოშვებები გაწსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას პრეს-კონფერენციაზე იმის შესახებ, რომ „თუ „უ-2“ თვითმფრინაველის ჯაშუშური ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განახლდა, ესე იგი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაგრძეს პროვოკაციები, ისინი ამით შეგნებულად გაამწვავებენ დაძაბულობას, რათა ომის დასაწყისის მდგომარეობამდე მიიყვანონ იგი. გაზეთები აქვეყნებენ პრეს-კონფერენციის ანგარიშებს დიდრონი სათაურებით და ათავსებენ ნ. ს. ხრუშჩოვის ფოტოსურათს, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გადაიღეს.

გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა“ ცნობა ამ თემაზე მთათავსა სათაურით — „უ-2“ თვითმფრინაველის შემდგომ ფრენას შეიძლება ომი მოჰყეს“. ინგლისი ამერიკის, შეერთებული შტატების ალიანსის თანამონაწილეა. „ივნინგ ნიუსმა“, — სათაურით — „ხრუშჩოვი ხაზს უსვამს ინგლისის ეერაგულ როლს“.

„ივნინგ სტანდარდი“ და „ივნინგ ნიუსი“ ამ ცნობებთან ერთად ბეჭდავენ ანტისიბჭოთა შინაარსის სარედაქციო სტატიებს.

ინგლისის მთელმა რიგმა გაზეთებმა, რომელთაც საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიას ვერ შევწამებთ, ამხილა უსაფუძვლობა ინგლისის ხელისუფალთა ტლანქი ცდებისა — გაამართლონ აგრესორები. მაგალითად, კონსერვატიული გაზეთები „დეილი მეილი“ და „დეილი ექსპრესი“ დღეს საეჭვოდ ხდიან ინგლისის თავდაცვის სამინისტროს გუშინდელ განცხადებას, რომ ამერიკის „რბ-47“ ტიპის ჩამოგდებული თვითმფრინავი თითქოს „ყოველად უვნებელ მისიას“ ასრულებდა.

ყველა მონაცემის მიხედვით, რომლებიც მიღებულია გუშინ საღამოს, წერენ „დეილი მეილის“ კორესპონდენტები ჯონ დიკი და კეიტ ტომპსონი, შეიძლება საკმარისი საფუძველი ითქვას, რომ „რბ-47“ ტიპის თვითმფრინავმა გადაიღო რუსეთის საიდუმლო ობიექტების სურათი. ბევრ სპეციალისტს არ დაუჯერებია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის განცხადებანი, რომ თვითმფრინავი ასრულებდა ელექტრომაგნიტურ მოვლენათა შესწავლასთან დაკავშირებულ დავალებას.

„ეროვნული ერთიანობა“ — „ეროვნული ერთიანობა“

იოსებ ბაჯაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების გამგე, ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ცნობილი მეცნიერი, სკკპ წევრი, 1930 წლიდან იოსებ სერაპიონის-ძე ბაჯაძე.

ი. ბაჯაძე დაიბადა 1908 წ. ქუთაისის მაზრის სოფელ გორაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი 1926 წელს ჩაირიცხა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს წარმატებით დამთავრა. 1931-1933 წლებში სწავლობდა ქ. მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში.

1933 წლიდან ი. ბაჯაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა ეკონომიურ დისციპლინაში და იმავე დროს ასრულებდა ადმინისტრაციულ სამუშაოებს. 1935-1936 წლებში სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო ნაწილში, ხოლო 1936-1937 წლებში — თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის დირექტორი. 1941 წელს მას მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და დოცენტის წოდება.

[illegible] ეროვნული [illegible] ეკონომიკის [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული